სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/94

ქ. თბილისი 4 აგვისტო 2022 წ.

უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სტუ-საკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის #01-05-04/67 დადგენილებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი კონკურსის შედეგების და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 აგვისტოს №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/41 დადგენილების შესაბამისად მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგები. (დანართი)
2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე